ბატონო გიორგი,

ძნელად წარმომიდგენია, რომ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე, რომელთა უმეტესობა სამართლებრივი ბუნებისაა, სასამართლოში 40 ტომზე მეტი შეიკრა და მათზე პასუხის გასაცემად სასამართლოს თითქმის 5 წელი დასჭირდა, ინტერვიუს ფორმატში სრულყოფილი პასუხის გაცემა შევძლო.

თუმცა შევეცდები გიპასუხოთ და აღნიშნული მიზნით, პირველ რიგში, მოკლედ წარმოგიდგენთ დავის არსს, რათა ასე თუ ისე აღქმადი იყოს თქვენთვის ჩემი პასუხები.

ამასთან, იმედს ვიტოვებ, რომ ობიექტურობისთვის და მიუკერძოებლობის ეჭვის გამოსარიცხად, კითხვები და მათზე პასუხები სრულად და უცვლელად იქნება გამოყენებული იმ მასალაში რაზეც მუშაობთ.

მოკლედ დავის არსსზე:

მოსარჩელეები:
შპს ბლექ სი ენერჯი, შპს სქაი უოთერ-ი და შპს კომპანია ბლექ სი გრუპი

მოპასუხეებს:
შპს აკვაჰიდროს, ნიკა გილაურს, მამუკა პაპუაშვილს, თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწარმო აქვაფაუერს (Aquapower FZC), შპს აკვაენერჯის, შპს აკვაჰიდროენერჯის და შპს რეფორმატიკსს

ედავებოდნენ:
გაწეული სამუშაოს გადახდა, ზიანის ანაზღაურებას (წინასახლშეკრულებო, სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლებრივი საფუძვლებით), წილის უკან დაბრუნების სანაცვლო ღირებულების გადახდას და პარტნიორის გარიცხვას

სასამართლომ დააკმაყოფილა:
გაწეული სამუშაოს ანაზღაურება, ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება და წილის უკან დაბრუნების სანაცვლო ღირებულების გადახდა.

რაც შეეხება შეკითხვებს:

შეკითხვა პირველი:

2025 წლის 12 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „ბლექ სი გრუპის“ სარჩელი ნიკა გილაურისა და მასთან დაკავშირებული კომპანიების წინააღმდეგ და მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა მრავალმილიონიანი თანხის გადახდა, რაც მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომაც დატოვა ძალაში. ეთანხმებით თუ არა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას და რამდენად დასაბუთებულად და კანონიერად მიგაჩნიათ იგი?

პასუხი პირველ შეკითხვაზე:

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა არა შპს კომპანია ბლექ სი გრუპის სარჩელი, არამედ შპს ბლექ სი ენერჯის, შპს სქაი უოთერ-ის და შპს კომპანია ბლექ სი გრუპის ერთობლივი სარჩელი.

სარჩელი დაკმაყოფილდა არა მხოლოდ ნიკა გილაურის და მასთან დაკავშირებული კომპანიების წინააღმდეგ, არამედ მამუკა პაპუაშვილის და მასთან დაკავშირებული კომპანიების წინააღმდეგ და შპს ბლექ სი ენერჯისთან და შპს სქაი უოთერ-თან დაკავშირებული კომპანიების (შპს აკვაენერჯი და შპს აკვაჰიდრო) წინააღმდეგაც.

შპს კომპანია ბლექ სი გრუპს, როგორც ერთ-ერთ მოსარჩელეს, რომლის მოთხოვნების წილი საერთო მოთხოვნების მესამედსაც არ შეადგენს, ნაწილობრივ, რა ნაწილშიც დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა, სასამართლოს ძალაში შესულ გადაწყვეტილება კანონიერადაც და სამართლიანადაც მიაჩნია, რადგან მოპასუხეებს დაევალათ გაწეული სამუშაოს გადახდა და მისი არ გადახდით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შპს კომპანია ბლექ სი გრუპისთვის.

რაც შეეხება აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, როგორც შპს კომპანია ბლექ სი გრუპის სასამართლო წარმომადგენლებისგან (იურიდიული ფირმა შპს ბიგვავა ბატიაშვილი) მაქვს ინფორმაცია, სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების დასაბუთება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები ჯდება სტანდარტებში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნების სამართლებრივი დასაბუთების უმეტესობა.

შეკითხვა მეორე:

მოხდა თუ არა ნიკა გილაურის მხარის მიერ თქვენი კომპანიისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების ნებაყოფლობითი ან იძულებითი ანაზღაურება? კერძოდ, საჯარო წყაროების თანახმად, 2026 წლის 16 ივლისს იძულებით აუქციონზე გაიყიდა ნიკა გილაურის საცხოვრებელი სახლი — გადმოერიცხა თუ არა აღნიშნული უძრავი ქონების სარეალიზაციო თანხა თქვენს კომპანიას?

პასუხი მეორე შეკითხვაზე:
დავის არც ერთ მოპასუხეს, ნებაყოფლობით არ შეუსრულებია ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს იძულებითი აღსრულების პროცესი მოპასუხეების მიმართ.

იძულებითი აღსრულების პროცესი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გულისხმობს მათი საბანკო ანგარიშებიდან თანხის მობილიზაციას და მოპასუხეების აქტივების რეალიზაციას.

იძულებითი აღსრულების პროცესს მართავს აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც ეტაპობრივად გვირიცხავს მობილიზებულ თანხას, ჩვენი მოთხოვნის პროპორციულად.

შეკითხვა მესამე:
რით ხსნით იმ გარემოებას, რომ 2021 წლიდან მიმდინარე 4-წლიანი სასამართლო განხილვები მკვეთრად დაჩქარდა 2024 წლის შემოდგომაზე და საქალაქო სასამართლომ პროცესი ფორსირებულ რეჟიმში, დაახლოებით 2.5 თვეში დაასრულა?

პასუხი მესამე შეკითხვაზე:
აღნიშნული სასამართლო დავის განხილვის ვადებში არც რამე ასახსნელი არ მომხდარა და არც რამე იყო ფორსირებულად წარმართული.

პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის განხილვა თითქმის 4 წელი მიმდინარეობდა.

თუმცა ეს დრო მარტო სასამართლო გახილვებს არ დათმობია. ამ დროში არა ერთ მოლაპარაკების მცდელობას ქონდა ადგილი მხარეებს შორის და აქედან გამომდინარე, სასამართლო სხდომების ჩანიშვნა და გადადება ხდებოდა მხარეთა მოთხოვნების შესაბამისად.

ბოლო მოლაპარაკებების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა 2024 წლის ზაფხულის შუა რიცხვებში, რის შემდეგაც 2024 წლის აგვისტოს თვეში განახლდა სასამართლო დავის განხილვა და 6 თვის ვადაში პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

შეკითხვა მეოთხე:
სამართლებრივად, რა კავშირი ჰქონდა კერძო პირ ნიკა გილაურს ან შპს „რეფორმატიკსს“ „ბლექ სი გრუპისთვის“ ჰესების მშენებლობის დაკვეთასთან? რა კონკრეტულმა გარემოებებმა განსაზღვრა გილაურის პერსონალური და იმ კომპანიის სოლიდარული პასუხისმგებლობა, რომელიც უშუალოდ სადავო ხელშეკრულების მხარე არ ყოფილა?

პასუხი მეოთხე შეკითხვაზე:
როგორც დავის არსის მოკლე აღწერაში ზემოთ მოგახსენეთ, მოსარჩელეთა მოთხოვნების ნაწილს წარმოადგენდა გაწეული სამუშაოს გადახდა და ზიანის ანაზღაურება წინასახლშეკრულებო, სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლებრივი საფუძვლებით.

შესაბამისად, დავის საგანი არ ყოფილა მარტო ხელშეკრულებები და არა ხელშეკრულება, როგორც თქვენ გაქვთ მითითებული და მოპასუხეები არ ყოფილან მარტო ხელშეკრულებების მხარეები, არამედ დავის საგანი იყო ისეთი მოპასუხეების წინასახელშეკრულებო და დელიქტური ქმედებებიც ხელშეკრულებების დადების, აღსრულების და შეუსრულებლობის ეტაპზე, რომლებიც არ ყოფილან ხელშეკრულების მხარეები.

ნიკა გილაური, მამუკა პაპუაშვილი, თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწარმო აქვაფაუერ (Aquapower FZC) და შპს რეფორმატიკსი წარმოადგენდნენ სწორედ ამგვარ მოპასუხეებს, რომელთაც მათი უშუალო ქმედებების გამო წინასახლშეკრულებო და დელიქტური სამართლებრივი საფუძვლებით დაეკისრათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.

<u>შეკითხვა მეხუთე:</u>
<u>ქართული სასამართლოების აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გერმანელმა და ქართველმა იურისტებმა გამოაქვეყნეს სამართლებრივი სტატია, სადაც სასამართლოს მიერ შპს-ის კორპორაციული საფარველის გაჭრა და სამ-საფეხურიანი გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრება შეფასებულია როგორც დაუსაბუთებელი, უპრეცედენტო და ქართულ, გერმანულ კანონმდებლობასთან, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამო. როგორია ამ შეფასებაზე თქვენი კომპანიის პოზიცია?</u>

პასუხი მეხუთე შეკითხვაზე:
თქვენს მოყვანილ სამეცნიერო სამართლებრივ სტატიასთან დაკავშირებით შპს კომპანია ბლექ სი გრუპი სამწუხაროდ პოზიციას ნამდვილად ვერ დააფიქსირებს, მაგრამ წარმოგიდგენთ შპს კომპანია ბლექ სი გრუპის სასამართლო წარმომადგენლების პოზიციას.

აღნიშნულ სტატიას, რომელიც წარმოადგენს კვალიფიციურ იურისტთა წუხილს შპს-ის კორპორაციული საფარველის დარღვევაზე და სამ-საფეხურიანი გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, არანაირი კავშირი არ აქვს იმ დავასთან, რომლის შესახებაც პასუხს გცემთ, რადგან მოსარჩელეთა არც ერთი მოთხოვნა არ ეფუძნებოდა კორპორაციული საფარველის დარღვევას და გამჭოლი პასუხიმსგებლობის დაკისრებას და არც სასამართლოს დასაბუთებაში არ არის მითითებული აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლები.

როგორც ზემოთ მოგახენეთ, ნიკა გილაურს, მამუკა პაპუაშვილს, თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწარმო აქვაფაუერს (Aquapower FZC) და შპს რეფორმატიკსს სოლიდარული პასუხისმგებლობა დაეკისრათ მათი უშუალო ქმედებების გამო წინასახლშეკრულებო და დელიქტური სამართლებრივი საფუძვლებით.

შესაბამისად, სტატიის ავტორები კვალიფიციურად წუხან იმ საკითხზე, რომელსაც მიმდინარე დავაში ადგილი არ ქონია.

<u>შეკითხვა მეექვსე:</u>

<u>საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი კომპანიის მეწილის/დამფუძნებლის ოჯახის წევრებმა მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ წარსულში 100 ათასი ლარი შეწირეს. ზუსტია თუ არა ეს ინფორმაცია და არიან თუ არა თქვენი კომპანიის მფლობელები/ხელმძღვანელები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები?</u>

პასუხი მეექვსე შეკითხვაზე:

შპს კომპანია ბლექ სი გრუპი არ არის სამართლის ის სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია, შეაგროვოს, შეინახოს ან/და გასცეს ინფორმაცია თუნდაც მასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ფიზიკური პირების პირადი სახსრების განკარგვაზე ან/და პოლიტიკურ შეხედულებებზე, რადგან აღნიშნული ინფორმაცია განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს.